ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181665**

თარიღი: **15.06.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

ნათია გონაძე

პირადი ნომერი: 01024061904

მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 4 ბ. 24

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 30 ოქტომბრის AR1553482 განცხადება, რომელშიც ითხოვთ პეკინის გამზირის N15-ის მიმდებარედ N01.10.13.026.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას.

პასუხად გაცნობებთ, დამატებით დაზუსტებულ უნდა იქნეს იცვლება თუ არა მიწის ნაკვეთის განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები კ1 და კ2. ამასთან წარმოდგენილ უნდა იქნეს დასაბუთების ალბომი, რომელიც უნდა მოიცავდეს, საპროექტო მოცულობის ესკიზურ ვარიანტს, საპროექტო მიწის ნაკვეთის გენგეგმას და არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 30 ოქტომბრის AR1553482 განცხადება დარჩება განუხილველი.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი